ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური კომისიის სხდომა

ოქმი N 09

დ.ლენტეხი
28.04.2026წ

ა/წ 24აპრილს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა

სხდომას ესწრებოდნენ:სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ცირა ლიპარტელიანი,კომისიის წევრები ,ზურაბ ონიანი, მალხაზ ბენდელიანი და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ელდარ ლიპარტელიანი, მოწვეული სტუმრის სტატუსით სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მევლუდ ლიპარტელიანი,სხდომის კომისიის მდივანი ესმა მუკბანიანი.

კომისიის თავმჯდომარემ ც.ლიპარტელიანმა კომისიას გააცნო დღის წესრიგი შემდეგი საკითხით

1.ა(ა) იპ ის ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ანგარიში 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

/მომხ. ლამზირა გუგავა/

2.ა(ა)იპ ის ლენტეხის მუნიციპალიტეტის ო.ლიპარტელიანის სახელობის ,,ოლიმპიური ცენტრის"ანგარიში 2025წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

/მომხ.ე.ლიპარტდელიანი/

მოისმინეს:ა(ა)იპ ის ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბარების გაერთიანებაში შედის 15 მოქმედი საბავშვო ბაღი .აქედან 14 შერეული ტიპის და ლენტეხის საბავშვო ბაგა -ბაღი.გაერთიანებაში დასაქმებულია 234 თანამშრომელი .მათ შორის 11 გაერთიანების .ბაღებში ირიცხება 120 ბავშვი.

2025 წლისთვის გაერთიანება სუბსიდიის სახით დაფინანსდა 1,396 000 ლარით.აქედან სახელფასო ფონდი შეადგენს 1,240 812 (მილიონორას ორმოცი ათას რვაას თორმეტ) ლარს.2025 წლისთვის მოხდა ყველა თანამშრომლის ხელფასის მატება 10% დამატებული 100(ასი) ლარით.კვებაში დაიხარჯა 68300(სამოცდარვაათას სამას)ლარს .ბინის ქირავნობაში 29250(ოცდაცხრაათასორასორმოცდაათ) ლარს 5 ბაღი

განთავსებულია ნაქირავებ შენობაში.ლენტეხის საბავშვო ბაგა-ბაღის თვიური გადასახადი 1500(ათასხუთასი) ლარი .დანარჩენი ოთხი ბაღის თვიური ქირავნობის გადასახადი შეადგენს 375(სამს სამოცდა თხუთმეტ) ლარს .კომუნალურ ხარჯებში დაიხარჯა: 2583 ლარი დენის ,2000(ორიათასი) ლარი წყლის ,15498 თხუთმეტი ათას ოთხას ოთხმოცდათვრამეტი)ლარი შეშის .

1000(ათასი) ლარი საწვავის ,1000(ათასი)ლარი ინტერნეტის ,3750(სამიათას შვდასორმოცდაათი) ლარი ჰიგიენურ საშუალებებზე,3700(სამიათას შვიდასი) ლარი საახალწლო საჩუქრებზე,200 (ორასი) ლარი ტენდერების გამოცხადებაზე.3885(სამიათას ოთხმოცდახუთი) ლარი შეძენილი იქნა სამი თანამედროვე სტანდართის შესაბამისი მაცივარი.

გარემონტებული იქნა სოფ.სასაშის საბავშვო ბაღის წყლის და საკანალიზაციო სისტემა ,გამოიცვალა უნიტაზები.ამ სამუშაოს დეფექტურის აქტი შედგენილი იქნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ.2763 (ორიათას შვიდასსამოცდასამი)ლარის ოდენობით..გაერთიანებისმიერ შესრულებული სამუშაო ჩაბარებული იქნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურთან ერთად.ხელშეკრულება გაუფორმა ინდ.მეწარმე :ე.ლიპარტელიანს .

საგანმანათლებლო მიმართულებით დასრულდა საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადება,, ადრეული განათლების კურიკულუმი.თამაში2 დან 5 წლამდედა შერეული ჯგუფებისათვის".დაინერგა,როგორც სამუშაო მეთოდოლოგია ,რომელიც დასტურდება ბრძანებით.

ყველა აქტივობა ,რომელიც გაწერილი იყო გეგმა პროგრამით ,შესრულდა მსობლების მაქსიმალური ჩართულობით.ყველა ჩატარებული აქტივობა ატვირთულია სოც.ქსელის,ფეისბუქ გვერდზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით გაერთიანებას საჩუქრად გადაეცა საგანმანათლებლო რესურსი 4000(ოთხი ათასი) ლარის ოდენობით.

გაერთიანების დირექტორის ცირა ლიპარტელიანის მონაწილეობით მოგებული იქნა გრანტი.ამ გრანტით შეძენილი საგანმანათლებლო რესურსი გადაეცა გაერთიანებას მიღება -ჩაბარების აქტის საფუძველზე.ეს რესურსი გადანაწილებული იქნა ყველა საბავშვო ბაღზე ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით.

ანგარიშია წარმოდგენის შემდეგ ქალბატონმა ლამზირამ ისაუბრა გაერთიანებაში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე.სხდომა შემდეგ წარიმართა კითხვა პასუხის რეჟიმში.

ელდარ ლიპარტელიანმა მიმართა კითხვით ,რამდენი ლარი იხარჯება თითოეულ ბავშვზე ყოველდღიურად .ქალბატონმა ლამზირამ უპასუხა ,რომ 4.78(ოთხიდა სამოცდათვრამეტი) ლარი.სოციალურ სახითხთა კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით რამდენად აკმაყოფილებს N30 დადგენილება,რომელიც მიღებული იქნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის 30 ნოემბერს.,,ადრეული

აღზრდისა დაგანათლების მომსახურეობის მიმწოდებელი ან/და სკოლამდელიაღზრდისა და განათლების მომსახურეობის მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასოლომზაობის პროგრამის განმახორცოელებელი დაწესებულებების

პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების „შესახებ ავტორიზაციის პროცესში.მან უპასუხა ,რომ ვერ აკმაყოფილებს .და სიტყვიერი თხოვნით მიმართა სოციალურ საკითხთა კომისიას ,რომ ცვლილებები იქნას შეტანილი 2018 ის 30 ნოემბერს მიღებულ N 30 დადგენილებაში.

ზურაბ ონიანმა დაუსვა შეკითხვა ,თუ ფლობს ინფორმაციას ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობასთან დაკავშირებით.როდის უნდა დასრულდეს,ან რატომ არ არის დღეის მდგომარეობით განახლებული სამშენებლო პროცესი?რაზეც ქალბატონმა ლამზირამ უპასუხა ,რომ ბაღის მშენებლობასთან დაკავშირებით ესაუბრა რაჭა-ლეჩხუმ -ქვემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილეს ალუდა თუთისანს ,რომელიც ადგილზე ეცნობოდა მშენებლობის მდგომარეობას.პროექტით ბაღის მშენებლობა უნდა დასრულდეს 2026 წლის 15 ნოემბრამდე .სხვა ინფორმაციას არ ფლობდა პასუხი იყო იყო არადამაკმაყოფილებელი .ეთხოვა კომისიის სხდომაზე მოწვეულ სტუმარს,ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს მევლუდ ლიპარტელინს ,რომ მისი კომპეტენციის ფარგლებში შესწავლილი იქნას აღბიშნული საკითხი.

2.ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ო.ლიპარტელიანი სახელობის ოლიმპიური მომზადების ცენტრის ანგარიში წარმოადგინა ყოფილმა დირექტორმა ,ამჟამად საფინანსო კომისიის თავმჯდომარემ ელდარ ლიპარტელიანმა.

ა(ა)იპ ო.ლიპარტელიანის სახელობის ოლიმპიურ ცენტრში 2025წლის საანგარიშო პერიოდში დასაქმებული იყო 12 თანამშრომელი.

სუბსიდია წლის დასაწყისში შეადგენდა 105606 (ასხუთი ათას ექვსასექვს)ლარს

სახელფასო ფონდი 96906(ოთხმოცდაექვსი ათას ცხრაასექვს)ლარს

ფეხბურთის სპორტული ღონისძიებებისთვის 5000(ხუთი ათასი)ლარი

ო.ლიპარტელიანის სახელობის რაგბის ფესტივალისთვის 3000(სამი ატას)ლარს

ფეხბურთის ფედერაციის საწევრო 700(შვიდასი) ლარი

ჩატარებული ღონისძიებები წარმოდგენილია ანგარიში ,ღონისზიებებზე დახარჯულ თანხებს თან ახლვას თავისი ბრძანებები.ანგარიში თან ერთვის ოქმს .

2025 წელს ოლიმპიურმა ცენტრმა მოიპოვა გრანტი 5000 (ხუთი ათასი) ლარი.ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან .აღნიშნული გრანტით შეძენილი იქნას გუნდის ფორმები,მეკარის ფორმა ფერჩატკები,მოსაცმელები,კარის

ბადეები და სხვადასხვა ზომის მწვრთნელის ფორმა ,ფეხბურთის ბურთები,ფიშკები(ბრძანება N4 30.04.2025წ)

ანგარიში წარმოდგენილი იყო სრულად და ამომწურავად.

კომისიამ იმსჯელა და მსჯელობის შედეგად დაადგინეს ,რომ ა(ა) იპ ის ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებისა და ო.ლიპარტელიანის სახელობის ოლიმპიურიცენტრის ანგარიში მომზადებულია და გადაეცემა საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და შეფასებისთვის.

სხდომა დასრულდა14 სააზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური კომისიის სხდომის

თავმჯდომარე : /ბ. ლიპარტელიანი/